ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მამისა დიაკონოვი**

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი
კომისი(ებ)ის დასახელება

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება :

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის 01.01-დან 2023 წლის 01.11 მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10
   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 7

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023წ.

   - **საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა -3 , ესწრებოდა -3 სხდომას;

   - **საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა -4 , ესწრებოდა - 3 სხდომას.

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა
   ფრაქციის სხდომბზე დასწრება 2 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გეცემის წესის დამტკიცების შესახებ;
3. „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის-ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;
8. „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“
9. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-სთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
10. „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
11. „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“

5. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 8 შეხვედრა და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 300 მოსახელობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო, ისე გასვლით შეხვედრებზე.

   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები მოიცავს სოციალურ პრობლემებსა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1. ქალაქ ახალციხის ბაღინაშვილის, მესხეთის, სამსონიძეს და ახვლედიანის ქუჩებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ასევე დგას წყალანირების სისტემის მოწესრიგების საკითხი;
2. ბაღინაშვილის, მესხეთის, სამსონიძეს,და ახვლედიანის ქუჩებზე მოსახეობის საწვავი შეშით უზრუნველყოფის საკითხი;
3. ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიუსაფარი ძაღლების პრობლემა;
4. პირველი სკოლის მიმდებარედ განთავსებული ბავშვების გასართობი სკვერის განათების საკითხი;
5. ქ. ახალციხეში სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ და-ძმის ეკლესიის ტერიტორიის დასუფთავების საკითხი.

დეპუტატის შუამდგომლობით ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხი მიწოდებულია მერიასთან.

დეპუტატმა მოსახლეობასთან შეხვედრების შემდგომ საკრებულოს სხდომაზე დასვა საკითხი, რომ ქალაქ ახალციხეში სანაპიროს ქუჩაზე არსებული კალათბურთის მოედანზე არაა განათება და ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მოწესრიგებული გზა (მუდმივად ტალახია), რის გამოც მოსახლეობას უჭირს ყოველდღიურად გადაადგილება.

შევსების თარიღი: 18.10.2023წ.
წარდგენის თარიღი: 23.10.2023
ხელის მოწერა: